ПРОЛЕТАРებო ᲛᲣᲦᲚᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘ | № 84 (12292) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲔᲡᲚᲘ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘᲐ

„ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 იანვრის დადგენილებისა და „რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1962 წლის მოსავლის მისაღებად მაღალხარისხოვანი თესლის მომზადების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების შემოწმებამ ცხადყო, რომ ბევრმა მეურნეობამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მეთესლეობის საქმე.

გურჯაანის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას, წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე წლის დამდეგს მთლიანად უზრუნველყოფილი იყვნენ ხარისხოვანი თესლით საგაზაფხულო თესვისათვის.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრი ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მეთესლეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულებას, არ განახორციელა ხათანადო ღონისძიებანი, რათა მოსავლის აღებისთანავე შეენახა სათესლე ფონდები, გაეწმინდა, გაეხმო თესლი და უზრუნველეყო თვითეული მეურნეობა მაღალხარისხოვანი თესლით. ამის შედეგად კოლმეურნეობებში შარშან შემოდგომაზე მაღალხარისხოვანი თესლით დათესა საშემოდგომო ფართობის მხოლოდ 64,5 პროცენტი. კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დაბალხარისხოვანი თესლით დათესეს მთელი საშემოდგომო ფართობის 35,5 პროცენტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებმა — 52,8 პროცენტი.

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წლის მოსავლისათვის დაბალხარისხოვანი თესლით დათესეს საშემოდგომო ფართობის 76 პროცენტი. ამ რაიონის ვიჩიანის საყრდენ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობაში საშემოდგომო ხორბლის დაბალხარისხოვანი თესლით დათესა 58 ჰექტარი, სოფელ დილისკის კოლმეურნეობაში — 250 ჰექტარი, სოფელ ჩანდურისა — 80 ჰექტარი, ხოლო სოფელ კოთელიის კოლმეურნეობაში ხორბლის ნათესების მთელი ფართობი — 95 ჰექტარი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში შარშან შემოდგომაზე დათესილი დაბალხარისხოვანი თესლი შეადგენდა შემოწმებული სათესლე მასალის 60,5 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობებში — 45,2 პროცენტს. არაკეთილხარისხოვანი თესლის თესვა დაუშვეს ზნაურის რაიონის სოფლების ქვათეთრის, ავნევის, თიღვის კოლმეურნეობებმა. ოლქის მეურნეობებში მარტის პირველი დეკადის დამლევს დასათესად მომზადებული იყო მარცვლის და სამარცვლე პარკოსნების სათესლე მასალის შემოწმებული რაოდენობის 70-87 პროცენტი.

თიანეთის საყრდენ-საჩვენებელ მეურნეობაში გასული წლის შემოდგომაზე დაბალხარისხოვანი თესლით დათესეს საშემოდგომო ნათესი ფართობის ნახევარზე მეტი. საგაზაფხულო თესვისათვის მეურნეობაში არსებული სათესლე მასალა შვიდი თვის განმავლობაში არ დაუმუშავებიათ და დასარევლიანებულს ინახავდნენ.

ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გასული წლის 31 იანვრის დადგენილებას. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში წლითიწლობით ითესება დაბალხარისხოვანი თესლი. 1962 წლის მოსავლისათვის რაიონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო ფართობის 82,4 პროცენტი დათესეს უკონდიციო თესლით, საბჭოთა მეურნეობებში — 96 პროცენტი, ხოლო გასული წლის მოსავლისათვის შესაბამისად — 82,2 პროცენტი და 100 პროცენტი.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების დირექციებს, რომლებიც უშვებენ დაბალხარისხოვანი თესლის თესვას, დეზორგანიზაცია შეაქვთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და დიდ ზიანს აყენებენ მეურნეობებსა და სახელმწიფოს.

დამზადებათა და, სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტროების არასაკმაო უურადღების შედეგად არის შემთხვევები, როცა პურეულის პროდუქტებისა და საქართველოს ჯიშიანი ბოსტნეულის თესლის კანტორის ბაზებიდან გაუცია არა მარტო დაბალხარისხოვანი, არამედ უკონდიციო სათესლე მასალაც. მაგალითად, თელავის პურეულის პროდუქტების ბაზამ ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებს მისცა ბარდის 110 ცენტნერი დასარევლიანებული სათესლე მასალა, ხოლო საქართველოს ჯიშიანი ბოსტნეული თესლის კანტორამ გაყიდა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 1.000 კილოგრამზე მეტი უკონდიციო თესლი.

ბევრი რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა არ შეასრულეს მითითებანი იმის შესახებ, რომ საწყობის გამგეებად ინიშნებოდნენ აგრონომიული განათლების მქონე სპეციალისტები. ბევრ მეურნეობაში დღემდე არ შემოუღიათ თესლის აღრიცხვის ზონარგაყრილი წიგნები.

მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევითა ინსტიტუტმა (დირექტორი მ. დალაქიშვილი) შარშან ვერ შეასრულა მარცვლეული კულტურების ელიტური და პირველი რეპროდუქციის თესლის წარმოების დავალება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის მიზანია აღმოიფხვრას უხეში დარღვევები სათესლე მასალის წარმოებასა და მომზადებაში, სავსებით უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკუთარი კეთილხარისხოვანი თესლით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ პარტიის საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაავალეს სასტიკი პასუხი აგებინონ იმ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც არღვევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ყველა მეურნეობამ მოამზადოს და დასათესად გამოიყენოს მხოლოდ მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწყობების გამგეებად მუშაობა უნდა დაეკავოთ აგრონომიული განათლების მქონე სპეციალისტებს, შესაბამისი სათავსები უნდა გამოეყოთ თესლის ხარისხის გამომკვლევ რაიონულ ლაბორატორიებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საბჭომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაავალეს მტკიცე კონტროლი დაწესოს იმისადმი, რომ მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, ნატახტარის სასელექციო სადგურმა და ლაგოდეხის საცდელმა სადგურმა შეასრულონ ელიტური და პირველი რეპროდუქციის სათესლე მასალის წარმოების დავალება. ამ სამეცნიერო დაწესებულებებმა თავიანთ მხრივ აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ მათზე მიმაგრებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სათესლე მასალის გამოყენებაში, შენახვასა და სათეს კონდიციამდე აყვანაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს 1962 წელს სასოფლო-სამეურნეო კოლტურების სათესლეების „პროგრესული“ ჯიშების 100 პროცენტით, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 100 პროცენტით, ბალ

წერილები რედაქციას

რატომ არ ვიყენებთ ტექნოლოგიურ რუკებს?!

ტექნოლოგიური რუკა კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში ის საბუთია, რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები ამა თუ იმ პროდუქციის მოღების მთელი გზა და პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება ცალკეული ოპერაციების მიხედვით.

ტექნოლოგიური რუკა მეურნეობაში დგება ცალცალკე თვითეული სასოფლო-სამეურნეო კულტურასა და მეცხოველეობის ცალკეულ სახეობაზე. ის შეიცავს რამდენიმე გრაფას. პირველ გრაფაში თანმიმდევრობით იწერება სასოფლო-სამეურნეო კულტურის (რომლისთვისაც დგება რუკა) ბოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების ყველა ოპერაცია.

მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის სამარცვლედ მოყვანის ოპერაციების დასახელება დაიწყება ნაწვეროალის ოიშვით და დამთავრდება ტაროს დაფშვნითა და მარცვლის გადატანით საწყობში, ხოლო სასილოსე სიმინდისათვის ოპერაციის დასახელება დაიწყება ისევ ნაწვეროალის ოიშვით და დამთავრდება სასილოსე მასის გადახურვით.

მეცხოველეობაში, კერძოდ, მეძროხეობაში ოპერაციების დასახელება დაიწყება პირუტყვის რწყულებით და დამთავრდება წველის შემდეგ ბოცოების (ფლიგელების) გარეცხვით და პირუტყვის გაწმენდა-გასუფთავებით. ოპერაციების გასწვრივ რუკის მომდევნო გრაფებში ნაჩვენებია სიმუშაოს მოცულობა. ოპერაციის ჩასატარებლად საჭიროა აგრეგატის დასახელება, ამ აგრეგატზე მომუშავეთა რიცხოვნობა, აგრეგატის გამომუშავების ნორმა, ოპერაციის კალენდარული დრო და აგროვადა, აგრეგატებისა და მუშახელის საჭირო რაოდენობა სამუშაოს შესასრულებლად, შრომის დანახარჯი სამუშაოს ერთეულზე (მაგალითად, ერთ ჰექტარზე) კაც-საათობით და პირდაპირი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე მანეთობით.

ამ უკანასკნელი გრაფის შესავსებად ტექნოლოგიურ რუკას თან ერთვის დამხმარე ფორმები, რომლებშიც შეგვაქვს მოცემულ ოპერაციაზე გამოყენებული ტრაქტორისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ღირებულება, ნელიური დანარიცხები ამორტიზაციისა და რემონტზე, ტექმოვლის, საწვავ-საცხები და დამხმარე მასალის ღირებულება და სხვ. თუ რომელიმე ოპერაცია ხელით სრულდება, ის ტექნოლოგიურ რუკაში შეგვაქვს თავისი რიგით. ხოლო რუკის იმ გრაფებს, სადაც ლაპარაკია აგრეგატზე, არ შეგვიძლია. ასევე დამხმარე ფორმებში ვწერთ მხოლოდ დამხმარე მასალის ღირებულებას.

ტექნოლოგიური რუკის გამოყენების მიზანი მრავალმხრივია. კერძოდ, მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმისაგან განსხვავებით რუკიდან ზუსტად შეგვიძლია გავიგოთ პროდუქციის თვითღირებულების ცვლილება, რომელზე ოპერაციაზე ხელის შრომის ნაცვლად მანქანის ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შემთხვევაში.

ტექნოლოგიური რუკა თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს აგრეგატის არასწორი შერჩევა პროდუქციის თვითღირებულებაზე. მაგალითად, სახნავად (20-22 სანტიმეტრ სიღრმეზე) შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალი მარკის ტრაქტორები: „ტ-75," „დტ-54ა", „მტზ-5მ" და სხვ. მაგრამ ტექნოლოგიური რუკისა და დამხმარე ფორმების გრაფებში ამ ტრაქტორებისა და გუთნების ეკონომიურ მაჩვენებლებს ცალცალკე თუ შევიტანთ, აღმოჩნდება, რომ „ტ-75" მარკის ტრაქტორით ერთი ჰექტარის მოხვნა ჯდება 2,18 მანეთი, „დტ-54ა" მარკის ტრაქტორით — 2,58 მანეთი, ხოლო „მტზ-5მ" მარკის ტრაქტორის გამოყენების შემთხვევაში — 3,2 მანეთი.

მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება მეცხოველეობის შრომატევადი სამუშაოებიდანაც. მაგალითად, ფერმებიდან ნაკელის გამოტანა შეიძლება როგორც კიდული გზით, ისევე თამასებიანი ტრანსპორტიორით, თუ ორივე საშუალების გამოყენების ეკონომიურ მაჩვენებლებს (წარმადობა, საამორტიზაციო და სარემონტო დანარიცხები, ენერგიის ხარჯი, საჭირო მუშახელის რაოდენობა და სხვ.) ტექნოლოგიური რუკის ძირითადი და დამხმარე ფორმების გრაფებში შევიტანთ, აღმოჩნდება, რომ ნაკელის ამღები თამასებიანი ტრანსპორტიორი ორჯერ და მეტად ეკონომიურია, ვიდრე კიდული გზა.

ტექნოლოგიური რუკა გარდა აგრეგატების სწორი შერჩევისა, საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ადგილობრივი საშუალებები (მარტივი ტრანსპორტიორები, შნეკები და სხვა მოწყობილობა) მემცენარეობაში და მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოებში მრავალი პროცესის მექანიზაციისათვის. იგი გვიჩვენებს, რომელი წლის რა დროს შეიძლება იყოს ისინი თავისუფალნი მათი ბირდა. ბირი დანიშნულების სამუშაოებისაგან.

განუზომელია ტექნოლოგიური რუკის როლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის ნაკადური მეთოდით წარმოების საქმეში.

რომელიმე მეურნეობისათვის ტექნოლოგიური რუკის შედგენის დროს შესწავლილ და გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი სამეურნეო, ბუნებრივი პირობები (ჰაეა, რელიეფი, ნიადაგი, ნაკვეთის ზომები; შრომითი რესურსები, ფაქტიური ტექნიკური აღჭურვილობა და სხვ.), რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ აგრეგატის გამომუშავების ნორმებზე. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას ნიადაგის განსაზღვრული საშუალებები (ტორფი, ნაკელი, ორგანულ-მინერალური კომპოსტები), მათი დამზადებისა და გამოყენების თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და საცდელი სადგურების ან საკვლევ-საჩვენებელი მეურნეობების მიერ შემოწმებული მოწინავე მეთოდების გამოყენებას ამა თუ იმ კულტურის მოვლა-მოყვანაზე.

როგორც ვხედავთ, ტექნოლოგიური რუკა მეურნეობისათვის მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებული კონკრეტული სამოქმედო გეგმაა. ამდენად ტექნოლოგიური რუკის შედგენა მეტად პასუხსაგებია და ამ საქმეში მეურნეობის მთავარი ინჟინრის, მთავარი აგრონომისა და ზოოტექნიკოსის გარდა მონაწილეობა უნდა მიიღონ მეურნეობის მთავარმა ბუხჰალტერმა და მოწინავე მეურნეებმა.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და მეცხოველეობის ძირითადი შრომატევად სამუშაოებზე კომპლექსური მექანიზაციის ტექნოლოგიური რუკების დასანერგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში მოწვეულ იქნა ხუთდღიანი სემინარები საცდელ-საჩვენებელ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარი ინჟინრების, მთავარი აგრონომებისა და მთავარი ზოოტექნიკოსებისათვის სამ ნაკადად.

სემინარები უკვე გაიარა რესპუბლიკის 40-ზე მეტი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის ასზე მეტმა სპეციალისტმა. სემინარის მსმენელებმა მიიღეს ტექნოლოგიური რუკის ფორმები, წესები და დამხმარე მასალები რუკის შესადგენად, აგრეთვე ინსტიტუტის მიერ რესპუბლიკის პირობებისათვის ქართულ ენაზე შედგენილი ტიპური ტექნოლოგიური რუკები. სემინარების მუშაობის პერიოდში მსმენელებმა პრაქტიკულად შეისწავლეს და ივარჯიშეს ტექნოლოგიური რუკების შედგენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დიდ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღიათ თელავის რაიონის კისისწვეის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საცდელ-საჩვენებელი ნის საბჭოთა მეურნეობის, სოხუმის რაიონის ეშერის საცდელ-საჩვენებელი სასწავლო მეურნეობისა და ზოგიერთი სხვა მეურნეობის წარმომადგენლებს. ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს მოვაგონებთ, რომ მათ რჩევა ეძლევათ 1962 წელს დანერგონ თავიანთ მეურნეობებში ტექნოლოგიური რუკები. ამიტომ სანამ გვიან არ არის, უნდა მიიღონ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანაში და მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოებზე ტექნოლოგიური რუკების შეუგენა და გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს ზვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ს. ვაჩეიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის განყოფილების გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ი. კიკაბიძე,

მოწინავე გამოცდილების დანერგვის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გვტკივა გული ამ „წვრილმანებზე"

□ **ახალსოფლის (ქარელის რაიონი) საექიმო ამბულატორია ერთ წელზე მეტია უექიმოდ არის.**

გ. სხირტლაძე, ნ. ჩუტკერაშვილი, ვ. ფეიერიანაშვილი.

□ **აბაშის რაიონის სოფელ ნორიოსა და კვათანის შარაგზები მეტად ცუდ მდგომარეობაშია, ფეხით გავლაც კი გვიჭირს.**

რ. ჭანტურია.

□ **ჩვენს სოფელში (სოფელი ზედა დიმი, მაიაკოვსკის რაიონი) რადიოწერტილი ხშირად გვიფუჭდება. მივმართეთ ზომების მისაღებად რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკებს, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობაა სხვა სოფლებშიც.**

დ. გარუჩავა.

საკონსერვო ქარხანა... ქაღალდზე

ტყიბულის რაიონის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს მეხილეობას. აქაური ვაშლი, მსხალი და ტყემალი საქეიფოდ არის ცნობილი.

გასულ წელს აქაურმა კოლმეურნეებმა 3.754 ტონა ხილი დაამზადეს, გეგმა 134 პროცენტით შეასრულეს.

წარმატება უფრო მეტი იქნებოდა, დიდალი ხილი რომ არ ლპებოდეს და არ ნიავდებოდეს.

ამ მდგომარეობის გამოსწორება იოლად შეიძლება, თუ ტყიბულში აიგებენ საკონსერვო ან ხილის წვენის დამამზადებელ ქარხანას. ეს საკითხი კარგა ხანია დაისვა დღის წესრიგში. გასულ წლებში კიდევაც იყო ზემდგომი ორგანოების გითითება საკონსერვო ქარხნის აგების შესახებ, მაგრამ დადგენილება რატომღაც ქაღალდზე დარჩა.

იმედია, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო გათვალისწინებს ტყიბულელ მეხილეთა თხოვნას და წელს მაინც დაიწყებს საკონსერვო ან ხილის წვენის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობას ტყიბულში.

ი. აბესაძე,

ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

უკვდავი ძეგლებისა მჭედლეგი...

ჩვენი წინაპრები რომ დახელოვნებული ყოფილან ლითონების მხატვრულ დამუშავებაში, ამას მუზეუმებში დაცული ოქრომჭედლობის ძეგლები ადასტურებენ... მათი ისტორია საუკუნეებს უტოლდება.

მრავალი მათგანის სილამაზეს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. უეჭველია, ასეთი ხელოსნებისგოგმანებელი ნივთები საამაყო, სასახელოა, მაგრამ გულსატკენი ის არის, რომ ბევრი მათგანის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი დავიწყებას მიეცა.

არის ხალხური ხელოვნების ისეთი დარგები, რომელთა ქარხნული დამზადების წესებით შეცვლა შეუძლებელია. ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი სახეა თეგვა ანუ ქართული ოქრომჭედლობის ისეთი პროცესი, რომლის დროსაც ნაკეთის ზედაპირზე ხელოვნურ მხატვრულ გამოსახულებათა მიღება სპეციალური იარაღების — თეგვების საშუალებით ხდება.

შეუძლებელია სრულიად შეცვალო თეგვის ტექნოლოგიური პროცესი ტვიფრვით. ნათეგვი ზედაპირის სილამაზე ნატვიფრთან შედარებით დიდია. ხალხური ხელოვნების ასეთი დარგების აღდგენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მშრომელთა მასებში ნამდვილი გემოვნების აღზრდა, ცხოვრების სილამაზე ხალხური მხატვრული შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელია.

ხალხურ ხელოვნებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს; სამხატვრო მრეწველობის განვითარებას რეალური დახმარება უნდა გაეწიოს. უნდა ხდებოდეს როგორც წარსული, ისე თანადროული ხალხური ხელოვნების და ხალხური სამხატვრო მრეწველობის მიღწევათა საფუძვლიანი შესწავლა-გამოკვლევა.

როგორც ცნობილია, ქართული ოქრომჭედლობის თეგურ ხელოვნებას მსოფლიო კულტურის საგანძურში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი ჩვენი ხალხის კულტურის მშვენებას წარმოადგენს. თეგური ხელოვნების ტექნოლოგიური პროცესის აღდგენა, ჩვენის აზრით, უკვე სადღეისო საკითხია. თეგური ხელოვნების განვითარებაში შესანიშნავი წვლილი შეიტანა ხალხური ხელოვნების მცოდნემ არტემ გაბუნიამ. მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულ იქნა ხალხური ხელოვნების სახელოსნოები, რომლებმაც სამწუხაროდ, ცოტა ხანს იარსებეს.

გ. ხანდამაშვილის მიერ დამზადებული ვაზა.

კერძოდ რა არის საჭირო თეგური ხელოვნების აღდგენა-განვითარებისათვის? უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია თეგური ხელოვნების მეცნიერული შესწავლა-დამუშავება, სათანადო სახელმძღვანელოს შექმნა, მასწავლებლთა და ოსტატთა კადრების გამონახვა. შერჩეული ახალგაზრდების ჯგუფების ჩამოყალიბება თეგვის პროცესის შესასწავლად.

თეგური ხელოვნების შესწავლის მხრივ ჩვენს მეცნიერებს უკვე ჩატარებული აქვთ დიდი მუშაობა. ამ საკითხს მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს აკადემიკოსებმა გ. ჩუბინაშვილმა და შ. ამირანაშვილმა, ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ყენიამ. ამ სტატიის ავტორების მიერ დამუშავებულია თეგვის ტექნოლოგიური პროცესი, შედგენილია საჭირო იარაღების ნახაზები, დადგენილია ამ იარაღებით სარგებლობის წესები, შესწავლილია ქართული თეგური ხელოვნების ძეგლების დამზადების პროცესები, მათი შესწავლის საფუძველზე წარმოებულია თეგვის სახეების კლასიფიკაცია, დამუშავებულია ჰედური ხელოვნების ტექნოლოგიური პროცესების ტერმინები.

რადგან ახლა ხელთ გვაქვს ჩვენი მეცნიერების მიერ მოკვლეული ძვირფასი მასალები, არსებობს სრული შესაძლებლობა მოკლე დროში შეიქმნას სახელმძღვანელო თეგური ხელოვნების ტექნოლოგიური პროცესების შემსწავლელთათვის.

ასევე საჭიროა ადგილობრივ ადგილებში ხელმძღვანელობა გაუწიონ ახალგაზრდობას თეგურ ხელოვნებაში დაოსტატებაში.

საჭიროდ მიგვაჩნია 1963/64 სასწავლო წლიდან რომელიმე სახელოსნო სასწავლებელთან შეიქმნას თეგური ხელოვნების შემსწავლელი ჯგუფები.

თეგური ხელოვნების აღდგენა თავის მხრივ თანდათანობით გამოიწვევს ქართული ხალხური ხელოვნების სხვა დარგების — გრეხილურის, აქაქურის, სევადურის, ოქროკრულის, მოოქვის და მინანქრის ხელოვნების აღდგენა-განვითარებას, რადგან ჩამოთვლილი პროცესების გამოყენება ხშირად თეგური ნივთების შესამკობადაც შეიძლება. ხელოვნების ასეთ დარგებს დაუფლებული ახალგაზრდობა საუკეთესო შეესება იქნება თბილისის საიუველირო წარმოებისა.

თეგური ხელოვნების აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში ჩვენს მუზეუმებთან ერთად მეტად დიდი როლის შესრულება შეუძლია კინოს და მეცნიერულ-პოპულარულ ლექციებს.

ჩვენი კინემატოგრაფიის მუშაკებმა ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯიც კი გადადგეს. სახელდობრ, 1960 წელს გადაიღეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ქართული ოქრომჭედლობა" (რეჟისორი ო. ჭიაურელი). მასში ფაქიზი გემოვნებით არის ნაჩვენები ქართული თეგური ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლები (ხახულის ხატი, ანჩისხატი და სხვ.). ეს ფილმი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა საკავშირო ეკრანებზე საჩვენებლად. ფილმი დიდი ინტერესით იქნა დემონსტრირებული უცხოეთის ზოგიერთ კინოეკრანზე, მაგრამ რატომღაც დღემდე არა გვაქვს ამ ფილმის ქართული ვარიანტი.

აკადემიკოსი შ. თავაძე,

ინჟინერი ი. ანდრიაშვილი.

ფუჭი და ჩრდილი

ჩვენი გაზეთის 14 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო თ. აბგარიძის წერილი „შუქი და ჩრდილი", რომელიც ეხებოდა ამბროლაურის რაიონის ღვარდიის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელ ლილი იოსებაშვილის შელის საქციელს.

სამართველოს კა ამბროლაურის რაიკომი გვატყობინებს, რომ ამბროლაურის განათლების განყოფილებამ ლ. იოსებაშვილი მოხსნა მასწავლებლობიდან. იოსებაშვილის საქმე განიხილა ამბროლაურის სახალხო სასამართლომ. დანაშაული დაისაჯა.

ამ საკითხზე რედაქციამ მიიღო მკითხველთა წერილები.

ქვემოთ ვბეჭდავთ რედაქციაში შემოსული წერილების ერთ ნაწილს.

□ □

უღირსი ხელოვნები

ჰედაგოგი

„შუქი და ჩრდილი" მოთხრობილმა ამბავმა დიდად ამაღელვა. ნუთუ ასეთი ქალი იყო საბჭოთა პედაგოგი და ახალგაზრდობის აღმზრდელი?

გკითხულობდი და ვღელავდი, ამასთან დავრჩი ეჭვდაწყვეტილი; როდესაც დამთავრდა სტატია და ვერ გავიგე ლილი იოსებაშვილის მიმართ რა ზომები იქნა მიღებული. ნუთუ შეიძლება საბჭოთა პედაგოგის სახელს ატარებდეს და ბავშვების აღმზრდელი იყოს ადამიანი, რომელმაც არ დაინდო ქმარი და ხნიერ მშობლებს უსუსური ღვიძლი შვილი დაუტოვა აღსაზრდელად.

გ. მელაშვილი.

თბილისი.

ესეც დედაა?!

მეტად აღგაშფოთა ლილი იოსებაშვილის საქციელმა. რა უნდა ვუწოდოთ ასეთ დედასა და პედაგოგს, რომელიც სრულიად უმიზეზოდ ტრაგედიას ატრიალებს ოჯახში?

დედამთილი და მამამთილი ხომ მეორე მშობლები არიან, ასეც არ იყოს, ისინი ხომ წლოვანებით უფროსები არიან, ხოლო უფროს-უმცროსობის გარჩევა პედაგოგზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს.

რა უნდა ასწავლოს, როგორ უნდა აღზარდოს ასეთმა პედაგოგმა ბავშვები?

ეთერ ჩოხელიშვილი.

ახმეტა, პიონერთა სახლი.

ბაუფიძრდა თავის საქციელს?

გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებული იყო აბგაიძის წერილი „შუქი და ჩრდილი", რომელმაც ძლიერ ამაღელვა. მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა, ლილი იოსებაშვილი კი ღირსი არ არის ატაროს პედაგოგის კეთილშობილური სახელი. ლ. იოსებაშვილის საქციელმა შეურაცხყო ყველა მასწავლებელი, ყოველი საბჭოთა ოჯახი.

იქნებ გვიან არ არის ლ. იოსებაშვილი ჩაუფიქრდეს თავის საქციელს.

ეთ. ფოცხვერაშვილი.

მცხეთის რაიონი, სოფელი ერედა.

აღგვაფოთა წერილმა

„შუქი და ჩრდილი", რომელიც ამბროლაურის რაიონის სოფელ ღვარდიის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელ ლილი იოსებაშვილის უმსაგავი საქციელს ეხება. ეს საბჭოთა დედის სახელს შერცხვენა.

მან დაივიწყა დედობრივი ბრუნვა, ქმრისადმი პირადი შურისძიების გრძნობას მან ყველაფერი შესწირა, ბავშვების ბედიც კი.

გთხოვთ ჩვენი გულისწყრომა თქვენი გაზეთის საშუალებით გააცნოთ მკითხველს.

ჟ. ხეჩიკაშვილი,

ბ. ჩხარტიშვილი.

ბასკი.

დიდი ინტერესით

წავიკითხე წერილი „შუქი და ჩრდილი".

ბრალდებულია!..

არა მგონია იყოს საბჭოთა მოქალაქე, რომლის გულისწყრომაც არ გამოუწვიოს ლილის საქციელს. მე თვითონ ქალიშვილი ვარ და ძლიერ აღმაშფოთა ჩემი კოლეგის მოქმედებამ. ადამიანი, რომელმაც დედის წმინდა მოვალეობა დაივიწყა, ღირსია საყოველთაო გაკიცხვისა.

ქიმიკოსი ლეილა ბასაძიშვილი.

დაბა თიანეთი.

აფხაზეთში ამჟამად 57 ბაგა და 90 სბავშვო ბაღი მუშაობს. სბავშვო დაწესებულებათა მშენებლობა რესპუბლიკაში გრძელდება. ამ დღეებში კარგ საჩუქარს მიიღებენ სოხუმის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა ბავშვები. აქ მთავრდება კეთილმოწყობილი სბავშვო ბაღის მშენებლობა.

სურათზე: ახალი სბავშვო ბაღი ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



ასე აფენდეგა „დიდი ქიმია"?..



დავაჩქაროთ რუსთავის ქიმიური ობიექტების მშენებლობა

რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებზე ჩვენ არა ერთი და ორი საკითხი დავაყენეთ წინა სტატიებში. ამჯერად კვლავ გვსურს აღვნიშნოთ ზოგიერთი მიზეზი, რომელიც აფერხებს ქარხნის მშენებლობას.

სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, რომელიც ალა ზენდება, ერთ-ერთი მძლავრი ქიმიური საწარმო იქნება. ამიტომაც არის, რომ იგი ზემდგომი ორგანოების მიერ გამოცხადებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტად.

და აი ახლა მიმდინარეობს ქარხნის საცდელი წარმოების მთავარი კორპუსის, ქიმიური კორპუსის, კაპროლაქტამის რეგენერაციის კორპუსის, სარემონტო საამქროების, ქიმიური და საცხებ-საწვავი მასალების საწყობის და სხვა ობიექტების მშენებლობა. უკეთესი წარმოდგენა რომ გიქონიოთ, საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს ობიექტები 35 ჰექტარადე ფართობს დაიკავებენ.

ვერ ვიტყვით, რომ ქარხნის მშენებლობაზე საგანგაშო მდგომარეობა იყოს, გეგმები არ სრულდებიდეს, ადგილი ჰქონდეს უყაირათობას, უდარდელობას. მაგრამ ბევრი საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელი და მოუგვარებელია.

მშენებლობას „სინთეზმშენის" სამმართველოს გარდა ბევრი ქვემოიჯარადრე ორგანიზაცია აწარმოებს, მაგალითად, „ყაზელექტრომონტაჟის" სამმართველოს უბანი (უბნის უფროსი ს. ივანოვი) და „მეტალურგპროკატმონტაჟის" სამმართველოს უბანი (უფროსი ი. დიანოვი). ეს ორგანიზაციები თავიანთ მოვალეობას ამ ბოლო დროს შედარებით კარგად ართმევენ თავს, გეგმებს ასრულებენ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა ქვემოიჯარადრე ორგანიზაციებზე. აქ გვინდა შევეხოთ „ტრანსსპეცმშენის" სამმართველოს უბანს, რომელსაც ი. კალჩენკო ხელმძღვანელობს. ამ უბანზე სისტემატურად ჩაშლილია გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოები, თითქმის ვერც ერთ თვეში ვერ სრულდება საწარმოო დავალება. სწორედ ამ უბნის უყაირათო მუშაობის შედეგია, რომ მშენებლობაზე ჯერ კიდევ არა გვაქვს ტექნიკური წყალი. თითქმის არაერთარი მუშაობა ერ წარმოებს სამაცივრო-საკომპრესორო ჯანადგარების სამაქროს მშენებლობაზე. „ტრანსსპეცმშენის" სამმართველოს უბანი შეუწყნარებლად აჭიანურებს ქიმიურ კორპუსში საკანალიზაციო სამუშაოებს.

პაესის სართულთა შორის გადახურვა და კედლების დამონტაჟება. დაახლოებით ექვსი თვეა, რაც მშენებლები კომბინატისაგან ითხოვენ კიბის ყაფაზების კონსტრუქციებს. მაგრამ ჯერჯერობით ეს თბოვნა დაუკმაყოფილებელი რჩება. ამის შედეგად არ ხერხდება მთავარი კორპუსის კედლების ამოყვანა.

მშენებლებს დიდად აღელვებს აგრეთვე ის, რომ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მათი მომარაგება ისეთი აუცილებელი სამშენებლო იარაღებით, როგორიც არის ჭიფრები, ხერხები, ჩაქუჩები და სხვა დამხმარე იარაღები და მასალები.

გვინდა ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი სამშენებლო პროექტებისა და ნახაზების საკითხს. დაახლოებით სამი თვის მანძილზე მშენებლებს გადასახურავი კოკების კონსტრუქციების ნახაზები არ ჰქონდათ. ასეთი ნახაზი მხოლოდ წელს იანვარში იქნა მიღებული. ხშირია შემთხვევა, რომ პროექტები და ნახაზები შედგენილია უხარისხოდ, არის შეუსაბამობანი. სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ ამას წინათ მოვალი ახალი პროექტი და დაშლილ იქნა 540 კუბმეტრი დამონტაჟებული რკინაბეტონის კონსტრუქცია. ეს რომ ერთი შემთხვევა იყოს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ მსგავსი ფაქტები ნესტემატურად მეორდება. ჩვენი აზრით, ქარხნის დირექციამ მეტი ქმედითი ღონისძიება უნდა განახორციელოს მშენებლებისათვის დანაგენილი და ხარისხიანი პროექტებისა და ნახაზების მიწოდების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს საპროექტო ორგანიზაციამ „გიპამ".

ს. აბაშიძე — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, მ. მეტრეველი — პროფკავშირთა სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე, რ. სოლომონია — სამუშაოთა მწარმოებელი.

რედაქციისაგან:

ჩვენ ვესაუბრეთ სამშენებლო ტრესტის მმართველს ზ. ჯაფარიძეს, მმართველის მოადგილეს პ. პეტრიაშვილს და ამავე ტრესტის მთავარ ინჟინერს ნ. ლობოცკის. აი რა გვიამბეს მათ სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობის შესახებ.

— სინთეზური ბოჭკოს ქარხანა კაპროლაქტამის წარმოებასთან ერთად, — განაცხადეს მათ, — ჩვენი ინდუსტრიული ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტია. ამიტომ მთავარი ყურადღება ახლა, გასაგებია, მიმართულია ქიმიის ამ ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისაკენ.

მშენებლები სამართლიანად აცხადებენ სამდურავს, რომ უზრუნველყოფილი არ არიან ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით. ყველაზე მტკივნეული საკითხია 18-მეტრიანი კოჭების დამზადება. სამშენებლო მასალის ეს სახე ყველაზე რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვს. რიგის მშენებელთა გამოცდილებისამებრ შევცვალეთ კოჭების დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმი. ეს სიახლე ჯერ კიდევ ტექნიკური ათვისების პროცესშია. ვფიქრობთ ერთი თვის შემდეგ შევძლებთ დღეში დავამზადოთ 4 ცალი კოჭი. 8-10 თვეში მთლიანად დავამზადებთ იმდენ კოჭს, რამდენიც დასჭირდება ჩვენს ქიმიურ ობიექტებს.

სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობის დაჩქარების მიზნით საუკეთესო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ქაფბეტონის საკედლე მასალების შეცვლა შიდაბეტონის საკედლე მასალებით. ეს ღონისძიება არა მარტო მშენებლობას დაჩქარებს, არამედ ცემენტის დიდ ეკონომიასაც მოგვცემს.

იმ მიზნით, რომ ქვემოიჯარადრე ორგანიზაციებმა უკეთ მოაწყონ მუშაობა, ჩვენ დავსვით საკითხი ამ ორგანიზაციების კოორდინაციის შესახებ. ეს საკითხი უახლოეს ხანში გადაწყდება. ეს ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს ქვემოიჯარადრე ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

მშენებლობის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზად ჯერ კიდევ რჩება მშენებლობის მოუმზადებლობა პროექტებითა და ნახაზებით. ამ ბოლო დროს მრავალი ქმედითი ღონისძიება განვახორციელეთ და შეიძლება ითქვას, რომ ახლა თავის დროზე ვიღებთ პროექტებს. ნახაზების მხრივ კი კვლავ ძველებური მდგომარეობაა. ვფიქრობთ ამასაც მოვაგვარებთ.

წელს მეორე კვარტალში მწყობრში უნდა ჩავაყენოთ სახლთსამშენებლო კომბინატი. ეს საშუალებას მოგვცემს 20.000 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები დამატებით გამოვიყენოთ საწარმოო მშენებლობაზე.

ქიმიური ობიექტების მშენებლობის დაჩქარების მიზნით კვირაში ერთხელ ვატარებთ ოპერატიულ თათბირებს. ეს დიდად გვეხმარება ჩამორჩენილი უბნების დროულად გამოსწორების საქმეში.



„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მგლეგი"

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში მსჯელები იყო ბრაკონიერების დანაშაულობანი დუშეთისა და მცხეთის რაიონებში. წერილი ზომებს. მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საიდანაც გვატყობინებენ: დუშეთისა და მცხეთის რაიონებში გარეული ფაუნის, მათ შორის თევზის დაცვა ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა.

1961 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ნადირობის წესების დარღვევის 1.060 შემთხვევა, ხოლო თევზაობის წესებისა — 1.300-ზე მეტი. წესების დამრღვევნი მიცემული არიან სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფაუნის დაცვის საქმეში მიღწეულია ერთგვარი გარდატეხა, რომლის შედეგადაც ჩვენი ფაუნის აღორძინების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

**უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ადგილებში და მათ შორის მცხეთისა და დუშეთის რაიონებში ნადირობისა და თევზაობის ინსპექტორთა რაოდენობა მეტად მცირეა. ამასთან ერთად ისინი განიცდიან ტრანსპორტის ს

დავგმოთ აგრესორი

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). 6 აპრილს უშიშროების საბჭოს დღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა სირიისა და ისრაელის საჩივრისა ტიბერიადის ტბის რაიონში მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებათა გამო.

განის წარმომადგენელმა კვეიონსეკმ განაცხადა, რომ 16-17 მარტის ამბები ისრაელის შეიარაღებული ძალების წინასწარგანზრახული თავდასხმაა სირიაზე. მან თქვა, რომ მისი მთავრობა დიდად დაინტერესებულია მტკიცე მშვიდობის დამყარებით ახლო აღმოსავლეთის ამ რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა იოსტმა შეიტანა ამერიკა-ინგლისის ერთობლივი რეზოლუციის პროექტი განსახილველ საკითხზე. მიუხედავად ამერიკის დელეგატის ყოველი ღონისძიებისა — „სამართლიანად“ და „ობიექტურად“ წარმოესახა ეს პროექტი, სხვა ომის მონაწილეებს მაინც თვალში მოხვდათ პროექტის სრული ულოგიკობა და წინააღმდეგობრივობა. პროექტში არის ცდა — 16-17 მარტის ამბებისათვის ბრალი თანაბრად დადონ აგრესორს — ისრაელს და აგრესიის მსხვერპლს — სირიას და ამავე დროს აღიარებულია, რომ ისრაელმა განახორციელა თავდასხმა და უხეშად დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადწყვეტილებანი.

აგრესორსა და მის გავლენიან მფარველებს კენჭებს ჯეროვანი პასუხი გასცა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა პ. დ. მოროზოვმა. ორატორთა მიერ მოყვანილმა მრავალმა ფაქტმა, თქვა მან, უეცლობელი დამაჯერებლობით ცხადყო, რომ ისრაელმა განახორციელა შეიარაღებული აგრესია სირიის წინააღმდეგ და, რომ 16-17 მარტის ამბები წინასწარგანზრახული, გულდასმით დაგეგმილი ქმედების შედეგია.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გააკრიტიკა ზოგიერთი დელეგაციის ცდები — პირდაპირ ან არაპირდაპირ დეცენტ აგრესორი. მან საბჭოს წევრთა ყურადღება მიაპყრო ამერიკა-ინგლისის რეზოლუციის პროექტის შეუწყნარებელ ულოგიკობას. მოროზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცდა — თანაბრად წარმოადგინონ აგრესორი და დამცველი მხარე — ფრიად სახიფათო მიდგომაა, რამდენადაც იგი საფუძველს აძლევს აგრესორს იფიქროს, რომ მას შეუძლია დაუსჯელად განაგრძოს აგრესიული აქტების განხორციელება.

საბჭოთა დელეგატმა მხარი დაუჭირა სირიის რეზოლუციის პროექტს, რომელიც წინადადებას აძლევს უშიშროების საბჭოს დაგმოს ისრაელის დანაშაულებრივი თავდასხმა სირიაზე და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს ამგვარი აგრესიული მოქმედება მომავალში.

უშიშროების საბჭო განაახლებს მუშაობას ორშაბათს, 9 აპრილს.

ომის პროპაგანდის აკრძალვის დეკლარაცია

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა საბჭოთა კავშირის პროექტი „დეკლარაციისა ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“. ეს პროექტი საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა 1962 წლის 5 აპრილს გაეროს ასამბლეის შესახებ მოლაპარაკებაზე ყენეკეში.

მდგომარეობა სირიაში

დამასკო, 8 აპრილი. (საკდესი). დამასკოს ყველა გაზეთი ბეჭდავს სირიის არმიის მთავარსარდლის გენერალ აბდელ ქერიმ ზაჰრედინის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია: „სამხედრო სარდლობამ გადაწყვიტა, რომ სამხედროებმა არაკეთილი ფორმით არ მიიღონ მონაწილეობა მომავალ მართვა-გამგეობაში“. „ჩვენი მიზანია, — განაცხადა ზაჰრედინმა, — ავაშენოთ დემოკრატიული ცხოვრება ჯანსაღ საწყისებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი სამშობლოსათვის სტაბილობას, აყვავებასა და წინსვლას არაბთა განთავისუფლებულ ქვეყნებს ნორის ერთობის გზით“.

სირიის არაბთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა დირექტორ სუპეიილი ალ-ანაა განცხადება გაუკეთა არაბული აღმოსავლეთის საგენტოს, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სირიის ყველა რაიონში სიმშვიდე და წესრიგია.

დღეს გაზეთებში დაბეჭდილია სირიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა იმის შესახებ, რომ 8 აპრილიდან სირიის საზღვაო ნავსადგურები ღიაა დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

რევოლუციური კუბის ნაგა

ჰავანა, 8 აპრილი. (საკდესი). რევოლუციურმა ტრიბუნალმა განაჩენი გამოუტანა იმპერიალისტთა დაქირავებულებს, რომლებიც შარშან აპრილში მონაწილეობდნენ კუბის წინააღმდეგ ინტერვენციაში. ტრიბუნალმა დაადგინა ჩამოერთვას ყველა ბრალდებულს კუბის მოქალაქეობა და დაავალა მათ ანაზღაურონ მატერიალური ზარალი, რომელიც კუბის სახელმწიფოს მოუტანა ინტერვენციის შედეგად. ინტერვენციის თვითეულმა მონაწილემ უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც დამოკიდებულია დანაშაულობის ოდენობაზე — 25 ათასიდან 500 დოლარამდე. კომპენსაციის საერთო თანხა შეადგენს 62 მილიონ დოლარს. ვინც არ შეიტანს ტრიბუნალის მიერ დანიშნულ თანხას, მას დაეპატიმრებენ და მიუსაჯან იძულებით სამუშაოებს 30 წლის ვადით. სათანადო თანხის შეტანის შემდეგ მსჯავრდებულებს გაათავისუფლებენ.

ყოველ დღეს მოდის ახალი ცნობები ულტრაკოლონიალისტების მხეცურ დანაშაულობათა შესახებ ალჟირში. მშვიდობიანი არაბი მოსახლეობა, რომელიც სიხარულით შეხვდა ევიანის შეთანხმებათა დადებას, ჯერ კიდევ ელის მშვიდობის დადგომას. მაგრამ ფაშისტი ბანდიტი ავტომატს მოიმარჯვებს და ახალი მსხვერპლნი ეცემიან ალჟირის მრავალტანჯულ მიწაზე. როდის მოეღება ბოლო ოას-ის დანაშაულობებს?

სურათები იტალიურ გაზეთ „ჯორნოდან“.

„მთვარეზე გაფრენის წინ“

უცხოეთის გამოხმაურება „კოსმოსი-2“ გაშვების თაობაზე

ლონდონი, 7 აპრილი. (საკდესი). იტალიის მთელი პრესა დღეს იუწყება, რომ საბჭოთა კავშირმი გამშვებულ იქნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-2“.

თავიანთ კომენტარებში გაზეთებს ეს მოვლენა მიაჩნიათ ახალ ნაბიჯად კოსმოსურ სივრცეში ადამიანის საალანეტთამშორისო მოგზაურობათა მომზადების გზაზე.

„მოამზადება მთვარეზე გასაფრენად“, — ასეთია ერთ-ერთი სათაური „ტაიმსში“. „ბირმინჰამ პოსტი“ ყურადღებას აქცევს ახალი თანამგზავრის დიდ დამორებას დედამიწიდან და აღნიშნავს, რომ მას, როგორც ჩანს, შეუძლია მოგვაცეს ძვირფასი ცნობები კოსმოსური რადიაციის შესახებ, რაც „საჭიროა მთვარეზე ადამიანის გაფრენის განსახორციელებლად“.

ტოკიო, 7 აპრილი. (საკდესი). „ორბიტაზეა ახალი საბჭოთა თანამგზავრი“... „საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაუშვა“ „კოსმოსი-2“ — ასეთი სათაურებით გამოაქვეყნეს დღეს იაპონიის გაზეთებმა საკდესის ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მორიგი გაშვება. გაზეთ „ტოკიო ტაიმსს“ მოაყავს საბჭოთა თანამგზავრების ტექნიკური მონაცემების შედარებანი და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი „მთვარეზე ადამიანის გაფრენის წინაშეა“. ხელოვნურ თანამგზავრთა დაგეგმილი გაშვების სერიის შედეგად, წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირი დამატებით ცნობებს მიიღებს კოსმოსის შესახებ და ამით უზრუნველყოფს ბაზას, რათა წარმატებით განხორციელდეს ადამიანის გაფრენა უახლოეს მომავალში მთვარეზე და სხვა პლანეტებზე.

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირმა კვლავ გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. გაშვება განხორციელდა ატმოსფეროს ზედა ფენებისა და კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად“ — ასეთი სათაურით ჩინეთის დედაქალაქის საღამოს გაზეთმა „ბეიძინ განბაომ“ გამოაქვეყნა საკდესის ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ორბიტაზე გაყვანილ იქნა დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-2“.

ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა ეს ცნობა გადასცა უკანასკნელი ცნობების გადმოცემაში

ანტიმუშური კანონი ამოქმედდა

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). ცნობილი პროფკავშირული მოღვაწე, კომუნისტი არი ბრაუნი გახდა მსხვერპლი ლენდრამ-გრიფინის ანტიმუშური კანონისა, რომელიც უკრძალავს კომუნისტური პარტიის წევრებს დიიკავონ ოფიციალური პოსტი პროფკავშირებში.

ბრაუნის საქმე განიხილეს სან-ფრანცისკოს ფედერალურ სასამართლოში. როცა ბრაუნის დამცველმა რიჩარდ გლადშტეინმა მოითხოვა, რომ ბრალდების წარმომადგენლებს დაესაბუთებინათ, რაც ბრაუნის განზრახვა — გამოყენებინა თავისი პატრიის წევრობა და პროფკავშირული პოსტი „ტატების შორის ვაკრობის დარღვევისათვის პოლიტიკური მოსაზრებებით“, — მოსამართლემ ალბერტ ოლენდერგმა სიტყვა შეაწყვეტინა მას.

ამავე დროს ფედერალური სასამართლოს მსაჯულებმა გადაწყვიტეს, რომ ბრაუნს „ბრალად ედება“ ის, რომ ერთსა და იმავე დროს კომუნისტი და პროფკავშირული მოღვაწეა. მას შეიძლება მიუსაჯონ ერთი წლის პატიმრობა და ჯარიმა 10.000 დოლარის ოდენობით.

მშვიდობის ლენინური დიპლომატია

მენშის კოლეგიერნსკის 40 წლისთავი

ლიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას იმპერიალისტური ძალები მტრულად შეხვდნენ. კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობები დიდხანს არ ცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი უპასუხოდ ტოვებდნენ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებებს, უარს ამბობდნენ საყოველთაო დემოკრატიული ზავის დაღებაზე, სამპარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე.

მას შემდეგ, რაც იარაღის საშუალებით ვერ დაამარცხეს საბჭოთა რუსეთი, კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალები ბეეცადნენ დაეჩქარებინათ იგი ეკონომიური და ფინანსური შტაკვის გზით, საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური იზოლაციით და სხვ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ბლოკადის ეს იმპერიალისტური გეგმები სამარცხვინოდ ჩაშალა. ომით განადგურებულ ქვეყანაში შიმშილის და ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერების მომენტში საბჭოთა მთავრობამ ვადადგა ახალი დიპლომატიური ნაბიჯი. 1921 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ის მზად არის გარკვეულ პირობებში იკისროს ომამდელი სახელმწიფო ვალების გადახდა.

საბჭოთა მთავრობამ წინადადება წამოაყენა უახლოეს დროში მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც განიხილავდა რუსეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობების მოთხოვნებს და გამომუშავებდა მათ შორის საბოლოო საზავო ხელშეკრულებას.

28 ოქტომბრის განცხადება წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს ლენინურ საგარეო პოლიტიკაში. ამიერიდან ვეღარ იტყოდნენ, საბჭოთა მთავრობა ვალებზე გადაჭრით უარს ამბობსო. საბჭოთა მთავრობა მზად იყო დაეწყოთ მოლაპარაკება ამ საკითხზე, მოეწვიათ კონფერენცია.

1922 წლის 8 იანვარს საბჭოთა მთავრობამ უპასუხა, რომ მონაწილეობას მიიღებდა გენუის კონფერენციაში. ამ კონფერენციაზე მიწვევის თვით ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების ახალი დიდი გამარჯვება იყო.

1922 წლის 10 აპრილს ქ. გენუაში გაიხსნა საერთაშორისო ეკონომიურ-ფინანსური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ 34 ქვეყნის დელეგაციები. კონფერენციას არაოფიციალურად ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი.

იმპერიალისტები საბჭოთა რუსეთის დელეგაციას უყენებდნენ შემდეგ კაბალურ პირობებს: საბჭოთა მთავრობას უნდა ეკისრა მეფის მთავრობისა და დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ყველა ფინანსური ვალდებულება; საბჭოთა მთავრობას უნდა ეცნო რუსეთში ყველა ყოფილი, როგორც ადგილობრივი, ისე საოლქო ხელისუფლების ფინანსური ვალდებულებანი; საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ეკისრა ყველა ზარალი, თუ კი ეს ზარალი წარმოშობილი იყო საბჭოთა ან მისი წინამორბედი მთავრობების ან ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებით ან დაუდევრობით. ყველა ამ საკითხის განსახილველად იქმნებოდა რუსეთის ვალების სპეციალური კომისია და შერეული შუამავალთა სასამართლო. ამასთან საბჭოთა რუსეთისაგან მოითხოვდნენ საგარეო ვაჭრობის და მონოპოლიის გაუქმებას და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყველა ქვეყანაში კომუნისტური პროპაგანდის შეწყვეტას.

კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ რუსეთში და მისმა სუვერენულმა უფლებებმა არ უნდა განიცადონ არავითარი შელახვა ან ზიანი... მშრომელი მასების უფლებებისა და საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძვლების უთუოდ შენარჩუნების ფარგლებში საერთაშორისო შესაძლებელია შეთანხმება უცხოეთის კაპიტალთან, შეთანხმება, ხელშეუხებლობის ჩარჩოებით მკაცრად განსაზღვრული, რომელიც მისცემს ჩვენს მომავალ კონტრაჰენტებს საკმაო მოგებას, რათა მიეზიდოთ ისინი ჩვენთან, და რომელიც ამავე დროს გამოიწვევს მეწარმეობის და ტრანსპორტის აღდგენასა და განვითარებას რუსეთში“.

ამასთან გ. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ „ის ჩამოვიდა გენუაში შშვიდობისა და ევროპის მეურნეობის საყოველთაო აღდგენის ინტერესებისათვის“.

ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ასეთმა მოულოდნელმა, მაგრამ დიდად ჰუმანურმა და გაბედულმა ნაბიჯმა გასაოცრად ამაღალა მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ იმთავითვე გამოამჟღავნა თავისი საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელმაც იმპერიალიზმის კაცთმოძულეობის იდეოლოგიას დაუპირისპირა ხალხთა მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.

გენუის კონფერენციის მასალები საჯაროებელ ამხილებს თანამეზროვე ცილისმწამებელთა ჯორუს იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი თითქოს „კომუნისტური პროპაგანდის თანამედროვე გამოგონებაა“, ჩვენი დროის „ტაქტიკური ლოზუნგი“ და ა. შ. ახლა მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, ანუ როგორც ლენინი წერდა, საკუთრების ორი სისტემის თანაბარუფლებიანობის პრინციპი — იმთავითვე იყო, არის და იქნება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძველი.

გენუის კონფერენციის პარალელურად საბჭოთა დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა გერმანიის წარმომადგენლობასთან, რაც 1922 წლის 16 აპრილს დამთავრდა რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერით. ვ. ი. ლენინი თვლიდა რაპალოს ხელშეკრულებას, „როგორც ერთადერთ სწორ გამოსავალს სიძნელეებიდან, ქაოსიდან და ომების საფრთხიდან (ციდრე რჩება საკუთრების ორი სისტემა, მაგრამ ისეთი მოძველებული სისტემა, როგორიცაა კაპიტალისტური საკუთრება)“.

გენუის კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხი, რომელიც მიტად მნიშვნელოვანი იყო თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის.

გენუის კონფერენციამ ცხადყო, რომ ევროპის აღდგენა შეუძლებელი იყო, თუ ამაში მონაწილეობას არ მიიღებდა რუსეთი. ამისათვის საჭირო იყო ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რუსეთთან.

1922 წლის 19 მაისს გაიმართა გენუის კონფერენციის უკანასკნელი სხდომა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სპეციალური კომისიების შექმნისა და ჰააგაში კონფერენციის მუშაობის გაგრძელების შესახებ.

ამრიგად, გენუის კონფერენციაზე დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები შეეცადნენ ეიძულებინათ საბჭოთა დელეგაცია, რომ ამ უკანასკნელს მიეღო მათ მიერ შეთავაზებული კაბალური წინადადებები, კერძოდ, ეცნო მეფის რუსეთის ომამდელი და ომის დროის ვალები. საკითხი სამართლიანად საბჭოთა დელეგაციამ უარყო დასავლეთის იმპერიალისტების წინადადებები და კაბალური უწოდა მათ.

საბჭოთა დელეგაციამ შეძლო გაეფრენა იმპერიალისტების მიერ შექმნილი ერთიანი ფრონტი გენუაში, რაც ვერმანიასთან რაპალოს ხელშეკრულების დადებით გამოიხატა. რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა — ეს იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება.

ჰააგის კონფერენცია (1922 წ.) მოწოდებული იყო გადაეჭრა ის მთავარი საკითხი კაპიტალისტური ევროპისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში, რომელის გადაჭრა ვერ შეძლო გენუის კონფერენციამ. მაგრამ ვერც ჰააგის კონფერენციაზე შეძლეს დასავლეთის სახელმწიფოებმა თავს მოეხვიათ საბჭოთა რუსეთისათვის მათი კაბალური პირობები.

გენუის და ჰააგის კონფერენციების შემდეგ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა განაგრძობდა განმტკიცებას. ამას დიდად უწყობდა ხელს საბჭოთა მთავრობის მტკიცე ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ცხოვრებამ დაადასტურა ლენინური საგარეო პოლიტიკის სისწორე. კაპიტალისტური სახელმწიფოები თანდათანობით დაადგენენ საბჭოთა კავშირის ცნობის გზას. ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცება იყო.

ამრიგად, გენუისა და ჰააგის კონფერენციების ჩაშლის მიუხედავად, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა: პირველი, გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე საბჭოთა რუსეთის მიწვევა ნიშნავდა კაპიტალისტური ქვეყნების მიერ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადის პოლიტიკის კრახს; მეორე, გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა, კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენელთა მოლაპარაკება მასთან ნიშნავდა კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობათა მიერ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ფაქტიურ ცნობის და, მესამე, თვით ის ფაქტი, რომ გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე საბჭოთა რუსეთი იყო წარმოდგენილი, ნიშნავდა ევროპისა და მსოფლიო საკითხების გადაჭრის საქმეში რუსეთის მონაწილეობის აუცილებლობის აღიარებას.

გენუისა და ჰააგის კონფერენციების ჩაშლა ნიშნავდა საბჭოთა რუსეთის ეკონომიური დაკაბალების იმპერიალისტური გეგმების ჩაშლას, საბჭოთა რუსეთის ლენინური საგარეო პოლიტიკის გამარჯვებას; საბჭოთა დელეგაციამ ამ კონფერენციებზე თავისი თანმიმდევრული ლენინური პოლიტიკით, დიდი მარცხი მიაყენა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ფრონტს და ერთხელ კიდევ ცხადყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის უპირატესობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა რეაქციული პოლიტიკის წინაშე. ამ კონფერენციების შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა და გამწვავდა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის გასაღების ბაზრების, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალდაბანდებათა სფეროებისათვის.

გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე ჩაიშალა საბჭოთა რუსეთის დაკაბალების იმპერიალისტური გეგმები. გაიმარჯვეს იმ ძალებმა, რომლებიც მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას. 1921-1922 წლებში მთელი რიგი კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა საბჭოთა რუსეთთან დადეს სავაჭრო ხელშეკრულებები, ხოლო 1923-1924 წლებში დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. საბჭოთა კავშირი მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. სოციალისტური სრულად და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. დღეს კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

გენუის კონფერენციის მოწვევიდან უკვე 40 წელი გავიდა, და ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია 1922 წლის 10 აპრილს ვუწოდოთ ღირსშესანიშნავი თარიღი საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. ამ დღეს საბჭოთა დელეგაციის მიერ ოფიციალურად, საერთაშორისო კონფერენციაზე, წამოყენებულ იქნა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. საერთაშორისო ფორუმზე საბჭოთა დიპლომატების პირველი გამოსვლა დაიწყო ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და საყოველთაო განიარაღების მოთხოვნით.

როგორც სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებმაც ჩვენი პარტიის დოკუმენტებში ჰპოვეს განვითარება, კვლავ განუხრელად რჩება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალურ კურსად.

ლენინური პრინციპები უდევს საფუძვლად საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა წინადადებას, რომელიც 1960 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ნამდვილ გზას წარმოადგენს საყოველთაო და სრული განიარაღება მკაცრი საერთაშორისო კონტროლის პირობებში. საგარეო პოლიტიკის დარგში მთელი ჩვენი სახელმწიფოს ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ი. ჩიძავა,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

იტალია. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ვენეციაში ორი ბავშვიანი ქალი ზის. მათ ქვეშ უგიათ შალითით დაფარული ლეიბი. ისინი დიდი ხანია სხედან, ბავშვები ღნავიან, ქალები ცრემლს იწმენდენ.

იტალიელების ამ ოჯახმა თავისებური დემონსტრაცია გამართა ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ტრაგედიას მოასწავებს ბევრი ღარიბისათვის.

როცა სახლები უვარგისი ხდება, მობინადრეებს ქუჩაში ერეკებიან. მაგრამ სად წახვალ? თანაც ბავშვებით. ბინის დაქირავება იმ ფულით, რომელიც ღარიბებს მოეპოვებათ, ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი.

უსახლკაროთა რიცხვი მატულობს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებმა „ზომები“ მიიღეს — დემონსტრანტებთან პოლიციელია დაყენებული.

ფოტო პუბლიფოტო-საკდესისა.

ერთვნული ბიბლიოთეკა

შორს სინამდვილისაგან

პარიზი, 7 აპრილი. საკდესის კორესპონდენტები ბ. ბარანოვი და გ. დრაგუნოვი იუწყებიან:

პრეზიდენტ დე გოლის გამოსვლა რადიოთი და ტელევიზიით

გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ამთავრებს პოლიტიკურ კამპანიას, რაც წინ უძღოდა 8 აპრილის რეფერენდუმს. მან მოუწოდა ფრანგებს „ჰო“ თქვან კითხვაზე, რომელიც შეეხება არა მარტო ევიანის შეთანხმებას ალჟირში მშვიდობის დამყარების შესახებ, არამედ რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი ხელისუფლების შედგომ გაძლიერებასაც.

დე გოლი ყოველმხრივ ადიდებდა ახლანდელ პოლიტიკურ რეჟიმს საფრანგეთში, „აკრძოდ, ცდილობდა დამსახურებად ჩაუთვალონ „დეკოლონიზაცია“ საფრანგეთის აფრიკულ სამფლობელოებში. პრეზიდენტმა აღნიშნა არაფერი ეთქვა იმაზე, რომ საფრანგეთის კოლონიების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ აიძულა მეხუთე რესპუბლიკის მმართველი წრეები დათანხმებოდნენ ამ „დეკოლონიზაციას“.

სინამდვილისაგან ასეგე შორს იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ის მტკიცებანი, თითქოს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკამ დაარწმუნა ალჟირში „ამერიკელ ექსტრემისტებს“ — ალჟირელ ფაშისტებს, ალჟირელ ტერორისტებს, ალჟირელ ბანდიტებს, ალჟირელ ბოროტმოქმედებს, ალჟირელ ბოროტებების ხელმძღვანელნი“(დე გოლი ასე ადიდებდა უწოდებს ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობას, რომელიც ლეთანაც საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ევიანის შეთანხმებებს) დათანხმებოდნენ მოლაპარაკებას.

პრეზიდენტმა ილაპარაკა მომავალი რეფერენდუმის „დემოკრატიულობაზე“. ამავე დროს საფრანგეთის საზოგადოებრივობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხმის მისაცემ ბიულეტენში ორი სავსებით სხვადასხვა საკითხის — ევიანის შეთანხმებათა მოწონება და პირადი ხელისუფლების რეჟიმის გაძლიერება — ერთ საკითხად შერწყმა ეწინააღმდეგება დემოკრატიის ელემენტარულ პრინციპებს.

რეფერენდუმი საფრანგეთში

პარიზი, 9 აპრილი. (საკდესი). წინასწარი ცნობებით საფრანგეთის 90 დეპარტამენტიდან 70 დეპარტამენტში რეგისტრაციაში გატარდა რეფერენდუმში მონაწილეობისათვის 17.071.632 ამომრჩეველი. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 12.873.418 ამომრჩეველმა. კენჭისყრაში თავი შეიკავა ამომრჩეველთა 24,39 პროცენტმა. 11.126.176 ამომრჩეველმა რეფერენდუმზე უპასუხა „ჰო“, ანუ მოიწონა ევიანის შეთანხმებანი ალჟირში ომის შეწყვეტის შესახებ, „არა“ თქვა 1.053.648 ამომრჩეველმა. 693 ათასზე მეტი ბიულეტენი გაბათილებულად იქნა ცნობილი.

თავდასხმა კომპარტიის შენობაზე

პარიზი, 7 აპრილი. (საკდესი). წუხელ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ნევრი ბრდიტები ავტომატის ცეცხლი უშენდნენ და გრანატებს ესროდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პარიზის მეჩვიდმეტე ოლქის სექციის შენობას. საბედნიეროდ, ამ რაიონის მცხოვრებთაგან და შენობის დაცვადან არავინ არ დაზარალებულა. შენობა საკრძნობლად დაზიანდა.

პარიზიდან გვატყობინებენ

გამარჯვებულნი

პარიზი, 8 აპრილი. (საკდესი). კვირას ნაშუადღევს გარეუბან ლა კურნევის სასპორტო პარკში, სადაც ღილით დაიწყო კროსი გაზეთ „ლუმანიტეს“ პრიზზე, ჩავიდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური მდივნის მორის ტორეზის მეთაურობით.

სტადიონის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა საერთაშორისო კროსის მონაწილეთა პარადი. მაყურებლები ტაშით შეხვდნენ ცნობილ სპორტსმენებს. გუნდების წევრთა წარდგენის შემდეგ სტადიონზე გაისმა „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი“.

სტარტი მოეცა ქალთა გარბენს. ერთბაშად წინ გაიჭრნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც პირველობა შეინარჩუნეს ორკილომეტრიანი ტრასის მთელ მანძილზე. ფინიშზე პირველი მიგიდა თამარ ბაბინცევა — 5 წუთი და 35 წამი. მას მიჰყვნენ ფილიცია კორაბლენე — 5 წუთი და 35,5 წამი და ლუდმილა ლისენკო — 5 წუთი და 56 წამი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ენერალური მდივნის მოადგილემ ვალდეკ როშემ მიულოცა წარმატება თამარ ბაბინცევას და მიართვა ყვავილების დიდი თაიგული. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ და გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა ანდრე კარელმა გამარჯვება მიულოცეს და ყვავილები გადასცეს ფილიცია კორაბლენეს და ლუდმილა ლისენკოს.

როცა საბჭოთა სპორტსმენები საპატიო კვარცხლბეკზე დგებიან, სტადიონზე გაისმის საბჭოთა ქავშირის ჰიმნი.

ვაჟთა კროსის სტარტი 30-მა სპორტსმენმა აიოსა. რვაკილომეტრიანი დისტანციის პირველი მეოთხედის შემდეგ ლიდერები გახდნენ საბჭოთა მძლეოსანი ლეონიდე ივანოვი, პოლონელი სპორტსმენი ხრომიკი, საბჭოთა მორბენლები ალექსი კონოვი, ფაიზ ხუზინი და ვლადიმერ ტრუფანოვი. მაგრამ დისტანციის ნახევრიდან ლეონიდე ივანოვი მოსწყდა ხრომიკს და მანძილი მათ შორის გაიზარდა.

ფინიშზე პირველი მიგიდა ივანოვი — 23 წუთი და 58 წამი. მას მიჰყვნენ კონოვი — 24 წუთი 13 წამი და ხრომიკი — 24 წუთი და 18,5 წამი.

მეორედ გაისმის სტადიონზე საბჭოთა ქავშირის ჰიმნი. მორის ტორეზი მხურვალედ გადაეხვია ლეონიდე ივანოვს, გადაჰკოცნა და ყვავილების თაიგული გადასცა.

მეხურვალე მოწოდება მშვიდობისათვის

დელი, 9 აპრილი. (საკდესი). ინდო

გორკი ქართულად

ლევანაზროვანი, ემოციურად ძლიერი ნაწარმოების თარგმნა საგრძნობლად უწყობს ხელს სალიტერატურო ენის ლექსიკურ-სტილისტურ გამდიდრებას და დახვეწას.

ცნობილია, რომ თარგმანში შენარჩუნებულ უნდა იქნას დედნის იდეური, მხატვრული და ენობრივი თავისებურებანი. სიტყვასიტყვით თარგმნა პირდაპირ სულს ხდის მხატვრულ ნაწარმოებს. დედნიდან ერთგვარი გადახვევა ზოგჯერ საჭიროა, მაგრამ თარგმანში აუცილებლად სრულად, უცვლელად უნდა დარჩეს იდეა, სულისკვეთება, პერსონაჟები, მხატვრული სახეები და კოლორიტი.



ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ მაქსიმ გორკის ნაწარმოებთა ქართულ თარგმანზე. ამ დიდი მწერლისა და ჰუმანისტის შემოქმედებამ წარუშლელი ვავლენა იქონია მსოფლიოს ყველა ხალხის პროგრესული მიმართულების მწერლობაზე. უდიდესი მხატვრული ძალით გვიჩვენა დრომოჭმული კაპიტალისტური სამყაროს გარეწნა, მუშათა კლასის დაჩაგვრა-ტანჯვებისა და გამარჯვების გარდუვალობა. მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ შეიყვარა გორკი პირველი ნაწარმოებების გამოჩენისთანავე და დაიწყო თარგმნა ქართულ ენაზე. მას აქვთ გორკისადმი ინტერესი არ შენელებულა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა თუნდაც ის რომ ამჟამად ქართულ ენაზე გამოდის დიდი მწერლის თხზულებათა თორმეტტომეული მწერალ დ. შენგელაიას რედაქტორობით.

გამოსული ექვსი ტომი ცხადყოფს, რომ მთარგმნელთა კოლექტივმა დიდი შრომა გასწია და სასურველ შედეგსაც მიაღწია. მწერლის ბევრ ნაწარმოებს ქართველი მკითხველი პირველად წაიკითხავს შობილიურ ენაზე. უთუოდ გამართლებულია ისიც, რომ ყველა ადრე ნათარგმნი ნაწარმოები ხელახლა თარგმნილია და მაღალ პროფესიულ დონეზე დგას. სრული ძალით ჭიერს მწერლის მებრძოლი სოციალისტური მსოფლმხედველობა, შენარჩუნებულია ამა თუ იმ ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი მხატვრული თუ ენობრივი თავისებურებანი. ასეთებია მაგალითად „დედა“ (თარგმ. შ. აფხაიძისა), „შევარდნის სიმღერა“, „გრიგალის სიმღერა“, „არტამონოვების საქმე“ (თარგმ. დ. შენგელაიასი), „შემაწუხებელი წიგნი“ (თარგმ. ს. კლდიაშვილისა), „ქალაშვილი და სიკვდილი“ (თარგმ. დ. გიჩიჩოლაძისა) და სხვ.

აღნიშნული ნაწარმოებნი მთლიანად კარგი ქართული ლიტერატურული ენით არის თარგმნილი. ფრიად საყურადღებოა აზრისა და სახის სიზუსტე.

ნამდვილ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს „ხანი და მისი ვაჟიშვილის“ (თარგმ. ა. ჯუმბაძისა), „ოცდაექვსნი და ერთი ქალის“ (თარგმ. რ. თვარაძისა) და „კონოვალოვის“ (თარგმ. კ. ქილარაჯიანისა) წაკითხვა. ეს არის ენამდიდარი, სიტყვაზუსტი და ძლიერი მხატვრული ზემოქმედების თარგმანები. ზემოწერვენი არის შენარჩუნებული თხრობის კილო, რაც ეგზომ დიდ როლს თამაშობს გორკის მოთხრობებში.

ამასთან ერთად მ. გორკის ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებში გვხვდება ისეთი ხარვეზები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია შემდეგ გამოცემებში. აზრისა და მხატვრული სახის დამახინჯება გვხვდება, არც თუ ისე იშვიათად, განსაკუთრებით გორკის რომანტიკული მოთხრობების თარგმანებში. აი ორიოდე მაგალითი.

პირველი ტომის მე-16 გვერდზე კვითხულობთ: „დანილო ამ დროს ზობარს უკანიდან მიუახლოვდა და გულის პირისპირ დანა შიგ ზურგში ჩასცა. რადას მამა ხომ ნასალდათარი კაცი იყო“ (თარგმანი თ. ბებურიშვილისა). გამოდის, რომ დანილომ ჩასცა დანა ზობარს, რადგანაც იგი, დანილო, ნასალდათარი კაცი იყო. სხვანაირად გაგება არ შეიძლება. მ. გორკი კი მოგვითხრობს: „А потом подошел Данило к Зобару и сунул ему нож в спину как раз против сердца. Тоже отцом был Радде старый солдат Данило“.

აქ სულ სხვა მოტივია წამოყენებული ზობარის მოკვლის გასამართლებლად. „მერე კი მივიდა დანილო ზობართან და ბოთ დედანი: „Луна взошла. Ее диск был велик, кроваво-красен, она казалась вышедшей из недр этой степи, которая на своем веку так много поглотила человеческого мяса и выпила крови, отчего наверное, стала такой жирной и щедрой („Старуха Изергиль“).

აზრი ცხადია: ტრამალმა შთანთქა ადამიანის ხორცი და ლაია სისხლი და ალბათ ამიტომ არის იგი, ტრამალი, მსუყე და გულუხვი. აქ ყველაფერი რიგზეა— აზრიც და მხატვრული სახეც. თარგმანში კი მთვარეს შეუჭამია ადამიანის ხორცი, „ალაია სისხლი. მთვარეა მსუყე და გულუხვი. რა აქვს საერთო ამ სურათს გორკის რომანტიკული მოთხრობის აზრთა და სახეთა წყობასთან? არაფერი.

მოთხრობაში „თავზეხელაღებული“ მომხდარი უსიამოვნების შემდეგ ასოთამწყობი მივიდა რედაქტორთან და ეუბნება: თუ ჩვენის მიპირები, ბატონო რედაქტორო, მითხარით, რადგანაც მე აქედან მინდა წავიდე და უკან ეტაპით დაბრუნება აღარ მესიამოვნებაო. (Я решил сказать вам, господин редактор, что если хотите со мной судиться, то скажите — потому я отсюдова уеду, а по этапу возвращаться неохота). აზრი ცხადია. თარგმანში ეს აზრი ისეა არეული, რომ გაგება შეუძლებელია. („თქვენთან იმის სათქმელად მოვედ, ბატონო რედაქტორო, რომ თუ მიჩივლებთ მითხარით და ჩემით წავალ. უნდა იცოდეთ, რომ ეტაპით მგზავრობა სულაც არ მეხალისება“ (თარგმანი თ. ჩხაიძისა).

დედანში მუშა შიშობს, რედაქტორის ჩივილს შემთხვევაში ეტაპით იძულებით არ დამბრუნონ უკანო. თარგმანში კი გამოდის, თითქოს მუშა ეუბნებოდეს, მე თვითონ წავალ, ეტაპით ხუ გამგზავნეთო.

დედნის პირდაპირ დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს ნაწარმოების თხრობის კილოს დაღვევა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს მხატვრული ნაწარმოების მთლიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებული სიფაქიზის გამოჩენაა საჭირო გორკის რომანტიკული მოთხრობების თარგმნისას. ამ მოთხრობებში სწორედ თხრობის კილო ქმნის საჭირო განწყობას და ადიდებს ლექსიკურ მასალას. თხრობის კილოს შეცვლა ან დარღვევა აუფერულებს სიტყვას, უკარგავს მას ელვარებას და ხშირად უადგილოდაც კი ხდის მას. მ. გორკის თხზულებათა თარგმანი სრულდება ძირითადად კარგი ქართული ენით, თუმცა ეგრძნობა სხვადასხვა მთარგმნელის ენის სხვადასხვაობა. გვხვდება ბრწყინვალე ქართულით, პირდაპირ შთაგონებით ნათარგმნი ადგილები, ბევრია მეტნაკლებად დახვეწილი, მაგრამ მაინც ლაღი ქართულით დაწერილი გვერდები და რამდენად არასასიამოვნოა, როდესაც ალაგალაგ ასეთ ეკალბარდს წაწყდება მკითხველი.

„და რაღაც ფაფუაზე დარტყმის რბილი ხმა, ოხვრა, წიკვინი და კვნესა ისეთი ადამიანისა, რომელიც რაღაც სიმძიმეს აქეთ-იქეთ თითქოს რომ დაათრევდა, ყრუდ მოისმოდა“ (ტ. I, გვ. 353. თარგმანი თ. ბებურიშვილისა).

ცხადია, ეს არ არის ქართული მხატვრული ენა. ეს უფრო ცუდი გემოვნებით დაწერილ ნარკვევს წაგავს, თანაც წინადადება ისეა აწყობილი, რომ შეუძლებელია მისი სწორი ინტონაციით წაკითხვა. ეტყობა. მთარგმნელი გრძნობდა, რომ თარგმანს „რაღაც“ აკლდა და ეს ნაკლი სიტყვაპარბობით „გამოასწორა“: დედნის 76 სიტყვა ნათარგმნია ქართული 87 სიტყვით, თერმეტი ზედმეტი, უქმად დახარჯული სიტყვა ერთ აბზაცში! რამდენია ასეთი აბზაცი? ნუთუ მთარგმნელი ფიქრობდა, რომ გორკის აზრებისა და მხატვრული სახეების გადმოცემა ქართულად მხოლოდ მრავალსიტყვაობის გზით შეიძლება?

ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია მდიდარი ქართული ლექსიკური მასალის ყოველმხრივ და, რაც მთავარია, სწორად გამოყენება თარგმანში. გაეცნეთ გატეხილი სჯობს, ქართული ენის ლექსიკური მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი რატომღაც არ იხმარება არა მარტო თარგმანებში, არამედ ბევრ თანამედროვე პროზაულ ნაწარმოებშიც. ეს კი სიტყვების ჯერ მავიწყებასა და მერე დავიწყებას იწვევს, რაც ჩვენი ენისათვის მტად არასასურველი მოვლენაა.

მაგრამ გამოუყენებლობაზე უფრო ცუდია სიტყვის არასწორად, მცდარად გამოყენება. თუ სიტყვა ნახმარია ისე, რომ მისი ცნობილი მნიშვნელობა არ უკავშირდება საერთო აზრს, მაშინ სიტყვა იქცევა ზედმეტ ბარგად. უფრო მეტიც, — უადგილოდ ნახმარი სიტყვა აღიზიანებს მკითხველს. აი ზოგი მათგანი.

„...რომ თავისი ბოღმა უფრო ლაღად გადმოენთხია“ (1.336) ბოღმის გადმონთხევა და სილაღე ურთიერთშეუფარდებელი ცნებებია.

„...უკბილო ტუჩი“ (2,91), კბილიანი ტუჩი არ არსებობს. „სიცილის ბგერა“ (2,105). ბგერა ტერმინია. უნდა იყოს „სიცილის ხმა“.

ჯერჯერობით გადაუწყვეტი რჩება რუსული სახელების, მამის სახელების და ზედმეტი სახელების ქართულად გადმოცემის საკითხი. ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგრამ ერთი რედაქციით გამოცემულ თხზულებებში მაინც შეიძლებოდა ერთი რომელიმე პრინციპის გატარება. მ. გორკის ნაწარმოებების თარგმანებში კი ყველა მთარგმნელს თავისებურად გადაუწყვეტია ეს საკითხი, მაგალითად, ზოგ ნაწარმოებში სახელი და მამის სახელი ეღერს რუსულად „ილია იაკოვლევიჩ“, „სონია ნიკონოვნა“, „ვასკა“, „კრასნი“ (მეტი სახელი) და სხვ. ზოგში ეს სპეციფიკური რუსული მიმართვა გადმოქართულებულია, რაც მთლად სწორი არ არის.

სახელი და მამის სახელი ხან რუსული ფორმით დაუტოვებია, ხან გაქართულებულად გადმოუცია ერთსა და იმავე მთარგმნელსაც კი, რაც უკვე ძნელი ასახსნელია.

უკეთესი ხომ არ იქნებოდა, სახელი და მამის სახელი როგორც მიმართვის ფორმა ყველგან დარჩენილიყო რუსული ეღერადობით. ხოლო მეტსახელი (Шалый და სხვ.) სქოლიოში ყოფილიყო ნათარგმნი და ახსნილი? მეტსახელი ხომ ერთგვარი ფსევდონიმია ადამიანისა! საჭიროა მისი თარგმნა?

აღნიშნული ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, ერთგვარ ზიანს აყენებენ ნაწარმოებთა მხატვრულ და ენობრივ თავისებურებას. საჭიროა მომდევნო ტომებში ამგვარი ნაკლოვანებების თავიდან აცილება, ხოლო მთლიანად თხზულებათა მეორედ გამოცემისას ყველა ნაწარმოების თარგმანის სათანადოდ გასწორება.

ერთი რამ უდავოა: დიდი მწერლისა და ჰუმანისტის მაქსიმ გორკის თხზულებათა თორმეტტომეულის ქართულ ენაზე გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში.

გ. გოლეთიანი,
გ. წიბახაშვილი.



ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

დუშეთი. (საკ. კორ.). ბევრი ღირსშესანიშნავი ნაგებობა მოიპოვება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ დუშეთში, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა შაუმიანის ქუჩაზე მდებარე სახლი, რომელშიც შემორჩენილია ძველი ქართული დარბაზის ტიპის საცხოვრებელი ნაგებობა.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჩიტაია განმარტავს, ეს ქვითკირის შენობა აგებული უნდა იყოს მე-17 საუკუნეში. გადმოცემის მიხედვით ერეკლე მეორის დროს და მასზე ადრეც ამ შენობაში სამართალი უწარმოებიათ.

ცნობილი რომაელი არქიტექტორი ქველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ასეთ სახლს აღწერს როგორც ქართველი ტომისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ ნაგებობას, ამჟამად ისიც გამორკვეულია, რომ ამაზე ადრეც (VI-IV სს. ძველი წელთაღრიცხვით) ქართველ ტომებს ამგვარი სახლები უშენებიათ.

რამდენიმე ასეთმა სახლმა დღემდე მოაღწია ქართლსა და მესხეთში. დიდად გამოირჩევა დუშეთში არსებული გვირგვინინი სახლი.

სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით ჩვენში ყოველწლიურად იმართება მხატვრის კვირეული. წელს კვირეული გაიმართება 15-დან 22 აპრილამდე.

თბილისს ოფიცერთა სახლში უკვე გაიხსნა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკისა და სკულპტურის 50-მდე ნიმუში.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს გ. თოთიბაძის „ჩაის პლანტაციის გმირები“, შ. ზამთარაძის. „მეთევზეები“, გ. ახობაძის „გამოღვიძება“, გ. ცერაძის „ლაჯანურჰესი“ და ლ. ბაიახჩევის „მეშახტეები“... სკულპტურული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ნ. ჯალაღანიას „მეტალურგები“, ა. ბილანიშვილის „ქალის პორტრეტი“, მ. ზაუტაშვილის „გაგარინის პორტრეტი“, რ. სანაძის „მუშის პორტრეტი“, დ. ჯაფარიძის „ნანეიშვილის პორტრეტი“.. გრაფიკული ნაწარმოებებიდან დამთავალიერებელთა ინტერესს იწვევს თ. ყუბანეიშვილის ილუსტრაციები ვაჟაფშაველას ნაწარმოებებისათვის, აგრეთვე ჯ. ლოლუას, გ. ბუჩუკურის და სხვათა ნამუშევრები.

საქართველოს მხატვართა კავშირს განწრახული აქვს სხვა გამოფენებიც მოაწყოს „მხატვართა კვირეულის“ განმავლობაში

ი. ჩაგელიშვილი.

ᲖᲠᲓᲘᲡ ᲰᲝᲠᲛᲝᲜᲘ? ᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“-Ს ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲚᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ირენ გრანდეკვსკაიას კორესპონდენციამ „ოქროზეგ ძვირფასი“ მკითხველთა ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით საააგენტო „ახალი ამბები“-ს კორესპონდენტმა შეკითხვით მიმართა ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.

აი რა განაცხადა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვასიუკოვამ:

— ჩვენი ინსტიტუტი მუშაობს იმ დაავადებათა კვლევაზე და მკურნალობაზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების—მოქმედების დარღვევასთან.

ამგვარი დაავადება საკმაოდ ბევრია. ერთ-ერთი მათგანი — ზრდის ავადმყოფური შერერება — დაკავშირებულია ტვინის დანამატი — ჰიპოფიზის ფუნქციების დარღვევასთან. ეს დაავადება თანდაყოლილია და ამიტომ ყველაზე ძნელი სამკურნალოა.

სად უნდა ეძოვნათ წყარო ზრდის ჰორმონის ფართო, მასობრივი წარმოებისათვის?

მამუნის ჰიპოფიზი ძალიან პატარაა, არა უმეტეს მუხუდოს მარცვლისა. ამიტომ წამლის დასამზადებლად საჭირო იქნებოდა ასეთი ათასობით ეს ფშვნათი ცხოველი. თვითეული ავადმყოფის მკურნალობის ვადა კი რამდენიმე წელიწადს გრძელდება. ამრიგად, სამკურნალო მიზნით პრეპარატის მიღების ეს წყარო არ გამოგვადგებოდა.

ადამიანის ჰიპოფიზიდან ზრდის გამააქტიურებელი ჰორმონის გეგმიანი დამზადება მით უფრო შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეპარატისათვის ვარგა ჰიპოფიზი მხოლოდ ჯანმრთელი ადამიანებისა, რომლებიც უეცრად, უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ.

მაშასადამე, მეცნიერთა წინაშე ისახება მხოლოდ ერთი რეალური გზა: მიაღწიონ სომატოთროპული ჰორმონის მიღებას ხარის, ღორისა და სხვა ცხოველების ჰიპოფიზიდან. ამგვარად ხომ ვიღებთ ბევრ სხვა სამკურნალო პრეპარატს, როგორიც არის ინსულინი ან ტირეოიდინი.

ექსპერიმენტების დროს ცხოველთა ჰიპოფიზიდან გამოყოფილმა ჰორმონმა კარგი შედეგები მოგვცა. მაგრამ ადამიანზე გამოუყენებისას ამავე ჰორმონმა თავისი სახეობითი სპეციფიკურობის გამო ჯერჯერობით ვერ მოახდინა სასურველი მოქმედება. ძიება გრძელდება.

ჩვენს ინსტიტუტში ამჟამად წარმოებს დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ცხოველთა ზრდის ჰორმონის ქიმიური აგებულების შესაცვლელად, რათა იგი ადამიანთა მკურნალობისათვის გამოსადეგი გახდეს. უკვე გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს მუშაობა წარმატებით დამთავრდება.

საააგენტო „ახალი ამბები“.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ

უკანასკნელ ხანს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი მსახიობები გასტროლებზე იმყოფებოდნენ სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში:

სსრ კავშირის სახალხო არტისტის **ა. ამირანაშვილის** გასტროლები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა კიევსა და ბაქოში. ამა წლის 28 მარტს მან სსრ კავშირის დიდ თეატრში შეასრულა რიგოლეტოს პარტია.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ბ. კრავეიშვილი** ბაქოელი მაყურებლის წინაშე წარსდგა ამონასროს პარტიით ოპერა „აიდაში“ და ტორეადორისა — ოპერა „კარმენში“.

შესანიშნავად იმღერა კარმენის პარტია (ორჯერ) საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა **მ. მალიშევამ** ქ. ყაზანში, საიდანაც იგი გაემგზავრა ქ. ბაქოში და აიდას პარტიის შესრულებით მოხიბლა იქაური მაყურებელი.

ამჟამად უნგრეთში სგასტროლოდ იმყოფება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ოდისეი დიმიტრიადი.** ამავე წლის ზაფხულში ივი მეორედ გაემგზავრება გერმანიაში, სადაც მის პირველ გამოსვლას დიდი წარმატება ხვდა.

მაისში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში საგასტროლოდ გაემგზავრება საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი **მ. ამირანაშვილი.** ამ დღეებში დაბრუნდნენ ხანგრძლივი საგასტროლო, მოგზაურობიდან (აფრიკის კვეყნებში) ბალეტის არტისტები **მარინე გოგიჩაიშვილი,** რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **კოტე ძნელაძე** და **გივი ტაბახმელაშვილი,** რომელთა ვასტროლებსაც ორჯერ გაუგრძელეს დრო.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲔᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ფრანგი მხატვარი ფრედერიკ ლონგე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. 28 მარტს ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა მისი ნამუშევრების გამოფენა.

ფრედერიკ ლონგეს პიროვნება საინტერესოა არა მარტო იმით, რომ ის ფუნჯის ოსტატია. ფრედერიკ ლონგე მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის შვილიშვილის შვილია. მარქსის უფროსი ქალიშვილის ჟენისა და პარიზის კომუნის აქტიური მონაწილის შარლ ლონგეს შვილიშვილი ევროპაში ცნობილი მხატვარია.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მისი გენიალური პაპის მოძღვრების საფუძველზე აშენებულმა სახელმწიფომ, ფრედერიკ ლონგემ გვიპასუხა.

— ეს საოცრებათა საოცრებაა. ეს არის ის, რაზეც ოცნებობდა კარლ მარქსი. მე ბედნიერად ვგრძნობ აქ თავს. მე ღრმად მწამს, რომ გმირი საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნიზმს. სიტყვები არ მყოფნის შთაბეჭდილებათა გადმოსაცემად. მე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი ვარ, კომუნისტი ვარ, ამიტომ ჩემს თავს კომუნიზმის პირველი სამშობლოს — სსრ კავშირის მოქალაქედაც ვთვლი. საფრანგეთში ცოცხლობს პარიზის კომუნის იდეები, დიდი მარქსის იდეები. ადრე თუ გვიან ისინი გაიმარჯვებენ.

ფრედერიკ ლონგეს ვთხოვეთ ორიოდე სიტყვით მოეთხრო თავისი ნამუშევრების გამოფენაზე.

— მე პიროსმანიტი ვარ. მოსკოვშიც ძირითადად პიროსმანის არის წარმოდგენილი. მე ვცდილობდი გადმომეცა ჩემს ნაწარმოებებში ფრანგული პიროსმანის პოეზია. თუ რამდენად შევძელი ეს, მნახველებმა განსაჯონ. ყველა ჩემი ნამუშევარი შესრულებულია თანამედროვე რეალიზმის პრინციპების დაცვით, — გვიპასუხა მხატვარმა.

— თქვენი დამოკიდებულება აბსტრაქციონიზმისა და სხვა დეკადენტურ-მოდერნისტული მიმდინარეობებისადმი ხელოვნებაში?

— ჩემი აზრით, აბსტრაქციონიზმი და სხვა ულტრამოდური მიმდინარეობა ხელოვნებაში და, კერძოდ, ფერწერაში განწირულია დასაღუპავად. ეს არ არის ხელოვნება, ეს არის მოდა, ინფექციად მოდებული დასავლეთში. ეს არის ესთეტიკის ნგრევა. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისათვის მიუღებელია ასეთი „ხელოვნება“.

— მაშინ როგორ გავიგოთ პიკასოს შემოქმედება?

ფრედერიკ ლონგემ გვიპასუხა:

— პიკასო, ეს მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარი, რთული მოვლენაა ფერწერის ისტორიაში. იგი ნოვატორი შემოქმედია. ბევრი რამ დაანგრია და ბევრი რამ შემატა ხელოვნებას და, კერძოდ, ფერწერასა და ქანდაკებას. ამჟამად, ჩემი აზრით, ის ხარკს ექსპერიმენტიზმს უფრო უდის, ვიდრე სხვა მიმდინარეობას. ზოგი რამ, რაც გაუგებარია დღეს თანამედროვესთვის მის შემოქმედებაში, მომავალში გასაგები იქნება. პიკასო ხანდახან ღალატობს რეალიზმის, რადგანაც უნდა ამოძრაოს ადამიანის გონება, შექმნას ფილოსოფიური ტილოები. პიკასო არა მარტო დიდი მხატვარია, დიდი მისტიფიკატორიც არის. ის დასცინის ბურუჟუაზიას. ასულელებს მას თავისი „ტრიუკებით“ ფერწერაში, და ბრმა იარაღად იყენებს მას (ბურჟუაზიას) თავისი ხელოვნების პროპაგანდაში. ამით აიხსნება ნაწილობრივ, ჩემი აზრით, პიკასოს ზოგიერთი შეუსაბამობა ჭეშმარიტ ესთეტიკასთან, რეალიზმის ესთეტიკასთან.

ჩვენ შევეკითხეთ ფრედერიკ ლონგეს, ეწვევა თუ არა მოკავშირე რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს. კარლ მარქსის შთამომავალმა გვიპასუხა, რომ საქართველო აინტერესებს მას და, როგორც კი შესაძლებლობა ექნება, დიდი სიამოვნებით ჩამოვა. პარიზში უნახავს ფრანგული ბალეტის ოსტატების მიერ განსახიერებული ბალეტი, „ვეფხისტყაოსანნი“ მოტივებზე აგებული. ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, სამწუხაროდ, ვერ ვნახე, მაგრამ ფრანგულ პრესაში აღფრთოვანებული რეცენზიები წავიკითხეო.

ფრედერიკ ლონგემ „კომუნისტში“ დასაბეჭდად გადმოგვცა საქართველოს კომუნისტებისადმი მიძღვნილი ბარათი ფრანგულ ენაზე.

კარლ მარქსის შთამომავალი წერს:

„ბოსოვთ გადასცეთ ჩემი სალამი ამხანაგ ქართველ კომუნისტებს. ვუსურვებ მათ წარმატებებს უველაზე სრულყოფილი საზოგადოების — კომუნიზმის მშენებლობაში.

ფრედერიკ ლონგე.
1962 წლის 20 მარტი“.

ფრანგმა მხატვარმა გვითხრა, რომ საბჭოთა კავშირში ის შექმნის რამდენიმე ნაწარმოებს, რომ აინტერესებს შავზღვისპირეთის რივიერა და მთები. საქართველო, ალბათ, ზედგამჭრილია ასეთი პეიზაჟებისათვის.

ფრედერიკ ლონგემ გადმოგვცა „კომუნისტში“ დასაბეჭდად თავისი ორი პეიზაჟის „სენა ივრში“ და „სენა მონტროში“ რეპროდუქციები.

ვლ. ალფენიძე.
მოსკოვი, მარტი.

10 Ა�პᲠᲘᲚᲘ

თეატრები: **რუსთაველის სახელობის** — ნ. ბარათაშვილი, **გრიბოედოვის სახელობის** — წუსგარეშე თამაში (მე-7 აბონ. მე-8 სპექტაკლი), **სანკულტურის**—მეისრე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — თოვლის დედოფალი (აბონ. № 45, 4 ს., აბონ. № 33, 7 ს.).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 12.00 — მხატვრული ფილმი „ერთი ჰექტარი ცა“, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი“, 19.00 — კინოჟურნალი, 19.15 — ახალი ამბები, 19.30 — სპორტული გადაცემა, 20.45 — მშობლთა ტელეუნივერსიტეტი, 21.00 — გადაცემა ცაკლიდან — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მიხეილ მრევლიშვილი, 21.40 — ფილმი-ბალეტი „კუზნიანი კვიცის ზღაპარი“.

ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ: **რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი,** ისანი, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **გაზაფხული** — ჩვენი ქუჩა, **ამირანი** (საზაფხულო)—ძველ ჩიკაგოში, **სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ბრალდების მოწმე, **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომკავშირელი, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — კინოფილმების ახალი პროგრამა, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) **ეშმაკეული ცამეტი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — აკადემიკოსი ასკანიიდან, **ოფიცერთა სახლი** — შფოთიანი მოსახვევები, **კოლმეურნე** — თოფები და მტრედები, **დიდუბე, თანამგზავრი** — შურისძიება, **კიროვის სახელობის პარკი** — გრაფი მონტე კრისტო (I-II სერია).

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ გვიან ღამით თბილისს ეწვივნენ პოლონელი ფეხბურთელები, რომლებიც ხვალ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართავენ მიმდინარე სეზონის პირველ საერთაშორისო შეხვედრას. ამ მატჩში მათი მოწინააღმდეგე თბილისის „დინამო“ იქნება.

ჩვენი სტუმრები ქ. სოსნოვეცის საკლუბო გუნდ „სტალის“ ფეხბურთელები არიან. პოლონეთის გასულ ჩემპიონატში მათ 24 ქულით მეშვიდე ადგილი დიაკავეს. გუნდში გამოირჩევიან თავდამსხმელთა ცენტრალური სამეული და ნახევარმცველები.

პირველ საერთაშორისო მატჩს თბილისში ინტერესით მოელიან. ეჭვს გარეშეა პოლონელები, რომლებიც კარგ სპორტულ ფორმაში არიან, მაყურებლებს მაღალტექნიკურ ბრძოლას უჩვენებენ.

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲔᲠᲗᲘ დღის შესვენების შემდეგ გუშინ კაუნასში განახლდა დასკვნითი შეჯიბრება ხელბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

საერთო ყურადღებას იპყრობდა ლიდერის მოსკოვის „ტრუდისა“ და „ზაპოროჟალუმინსტროის“ გუნდების ორთაბრძოლა. ეს დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ 18 : 18.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისეს „ბურევესტნიკისა“ და ქ. ტირასპოლის გუხდების შეჯიბრებამ. გაიმარჯვეს თბილელებმა ანგარიშით 21:15.

ამრიგად, დღისათვის ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან თბილისის „ბურევესტნიკი“ და მოსკოვის „ტრუდი“, რომლებსაც რვა-რვა ქულა აქვთ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

მოსკოვში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მეხუთე ტურში, რომელიც გასულ კვირაღდეს შედგა, დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. ნ. პადეკსკიმ დამარცხა ბ. ლარსენი, ფ. იგნატიევმა — პ. დელი. ა. ლილიენტალ-დ. ბრონშტეინი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

9 აპრილს შედგა მეექვსე ტური. ვ. გორტმა მოუგო იგნატიევს. ი. აივრბახმა. ლილიენტალის, დ. ბრონშტეინ-გ. ბარცასა და მ. იუდოვიჩ-პ. დელის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები ვადაიდო.

საკადესის კორესპონდენტმა იაკობ როხლინმა სთხოვა საერთაშორისო ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, 18 წლის ოსტატს ვლასტიმილ